

**ეღბრადი ენერგეტიკის  
განვითარების წინაპირობები  
საქართველოში**

თბილისი, 2007



**მეცხანე**

საქართველოს ენერჯეტიკის  
მინისტრო

კვლევა ჩატარდა "მწვანე ალტერნატივა"-ს პროექტის "დიალოგი პოლიტიკაზე უკეთესი გარემოსდაცვითი მმართველობისთვის" ფარგლებში.

მწვანე ალტერნატივა მადლობას უხდის ჰოლანდიის განსახლების, სივრცითი დაგეგმვისა და გარემოს სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერისთვის.

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მისი ავტორის მოსაზრებებს, გამოხატავს "მწვანე ალტერნატივა"-ს პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ჰოლანდიის განსახლების, სივრცითი დაგეგმვისა და გარემოს სამინისტროს შეხედულებათა ამსახველად.

© მწვანე ალტერნატივა, 2007

ავტორი: მანანა ქოჩლაძე

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	2
1. ენერგეტიკის სექტორის მარაგშედიკაბული ჩარჩო-დოკუმენტები.....	3
2. საქართველოს ენერგო-პოლიტიკის ძირითადი ამოცანები.....	3
2.1 ენერგოუსაფრთხოება.....	4
2.2 ენერგოსექტორის ეკონომიკური მდგრადობა და პრივატიზაცია.....	5
2.3 ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგეტიკის განვითარების ხელშეწყობა.....	7
2.4 საქართველოს ენერგო-პოლიტიკის ევროპული ვექტორი.....	9
თავი 3. ევროკავშირის პოლიტიკა ენერგო-სექტორში.....	12
3.1 ევროკავშირის პოლიტიკის მიზნები და ამოცანები .....	13
3.2 ევროკავშირის დირექტივები ენერგეტიკულ სექტორში .....	14
3.3 ევროკავშირის მიდგომა მინოდების უსაფრთხოებისადმი.....	16
3.4 ევროკავშირის ენერგო-ბაზრის ლიბერალიზაცია .....	17
დასკვნა.....	18

## შესავალი

საქართველოს ენერგო-სექტორის პოტენციალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყანას აქვს საკმაოდ დიდი რესურსები მდგრადი ენერგეტიკული სისტემის ჩამოყალიბებისთვის. საქართველოს გააჩნია ჰიდრო, ქარის, ბიომასის, გეოთერმული და მზის ენერჯის საკმაოდ დიდი რესურსები. მიუხედავად უკანასკნელ წლებში მიღწეული პროგრესისა, დღეისათვის ენერგოსექტორის მდგომარეობა კვლავაც არასტაბილურია. ეს განპირობებულია, არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზითა და ენერგეტიკული პოლიტიკით, რომლის გრძელვადიან მიზანსაც არ წარმოადგენს მდგრადი ენერგეტიკული სისტემის ჩამოყალიბება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად საქართველოს ენერგო-სექტორი პრაქტიკულად განადგურდა, რამაც უდიდესი როლი ითამაშა ქვეყნის ეკონომიკის მოშლასა და მოსახლეობის სიღარიბის ზრდაში, აგრეთვე დამანგრეველი ეფექტი მოახდინა როგორც გარემოზე (ტყეების დეგრადაცია, ეროზია და სხვა), ასევე ადამიანთა ჯანმრთელობაზე (დაბალი ხარისხის ნავთობპროდუქტების გამოყენება და სხვ.).

მდგომარეობის გამოსასწორებლად, 1994 წლიდან დაიწყო სტრუქტურული რეფორმების გატარება, რომლის შედეგადაც სექტორში განხორციელებული პრივატიზაციისა და ლიბერალიზაციის გზით და სექტორის დეპოლიტიზაციით ენერგო-სექტორში უნდა მომხდარიყო კერძო ინვესტიციების შემოსვლა, შექმნილიყო კონკურენტული გარემო და გაზრდილიყო ენერჯიაზე ხელმისაწვდომობა. რეფორმების განსახორციელებლად, ასევე დანგრეული და მწყობრიდან გამოსული ენერგო-გენერაციის ობიექტების რეაბილიტაციისათვის დაახლოებით 700 მილიონ დოლარამდე იყო გამოყოფილი. თანხები 1994-2000 წლებში გამოიყოფოდა სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ (მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) და ორმხრივი სააგენტოების მიერ. თუმცა სექტორში არსებული კორუფციისა და გაუმჭვირვალობის შედეგად, რასაც თან ერთვისა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების “მზა რეცეპტები”, რამოდენიმე ასეული მილიონი დოლარი უშედეგოდ დაიხარჯა, ხოლო ქვეყანა კვლავ განიცდიდა მძიმე ენერგეტიკულ კრიზისს.

შედეგად, ვარდების რევოლუციის შემდეგ მთავრობის ქმედებები ძირითადად მიმართული იყო ენერგო-დეფიციტის სწრაფად აღმოფხვრისკენ, მიუხედავად იმისა, რომ სექტორში არსებული პრობლემები და ამოცანები ბევრად უფრო რთული და მრავალმხრივია. ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის, აუცილებელია, რომ ენერგეტიკა ჩამოყალიბდეს როგორც სიცოცხლისუნარიანი, ეფექტური და თვითგანვითარებადი დარგი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სახელწიფოს უსაფრთხოება და მდგრადი განვითარება ათწლეულების განმავლობაში, მინიმალური დანახარჯებით და მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური დაცვით.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირის-საქართველოს სამოქმედო გეგმა პირდაპირ ითხოვს “ენერგეტიკის პოლიტიკის მიზნების დაახლოებას ევროკავშირის ენერგო-პოლიტიკის მიზნებთან” “კარგად გათვლილი და გრძელვადიანი ენერგეტიკული პოლიტიკის” შემუშავებისა და განხორციელების გზით, რათა თანდათან დაუახლოვდეს “ევროკავშირის ენერგო-პოლიტიკურ მიზნებს, ენერგო-რესურსების უსაფრთხოების ჩათვლით”.

წარმოდგენილი კვლევის ძირითადი ობიექტია ელექტროენერგეტიკისა და გაზის სექტორი. ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ და გავანალიზოთ საქართველოსა და ევროკავშირის პოლიტიკა ამ სფეროში და ამასთანავე, შევაფასოთ საქართველოში განხორციელებული თუ მოსალოდნელი ცვლილებები, მდგრადი ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივიდან.

## 1. ენერგეტიკის სექტორის მარეგულირებალი ჩარჩო-დოკუმენტები

ენერგო-სექტორის განვითარების გრძელვადიანი პრიორიტეტები ასახულია "საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების" დოკუმენტში, რომელიც 2006 წელს იქნა დამტკიცებული საქართველოს პარლამენტის მიერ.

ამჟამად საქართველოში ენერგეტიკის სფეროს მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტია საქართველოს კანონი "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ", რომელიც აწესრიგებს "ინდივიდუალური მენარმეების, ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობასა და ურთიერთობებს ელექტროენერგეტიკული სისტემის მართვის, ელექტროენერჯის (სიმძლავრით) საბითუმო ვაჭრობის, ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეჩერიზაციის, განაწილების, იმპორტის, ექსპორტისა და მოხმარების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდების, იმპორტის, ექსპორტის, ტრანსპორტირების, განაწილებისა და მოხმარების სფეროებში და უზრუნველყოფს საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის დარგების ფუნქციონირებასა და განვითარებას საბაზრო ეკონომიკის პრონციპების შესაბამისად".

კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავებელ და მათი განხორციელების მაკოორდინირებელ ორგანოს, ხოლო მეორე მთავარი მარეგულირებელი ორგანო საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიაა (სემეკი). სემეკის ფუნქციაა საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზიების გაცემა და ტარიფების რეგულირება. ამავდროულად, კომისია უფლებამოსილია დაადგინოს და დამტკიცოს სისტემის ტექნიკური და ეკონომიკური ფუნქციონირების წესები, მათ შორის სალიცენზიო პირობები და გააკონტროლოს მათი შესრულება.

2006 წელს დამტკიცებული "საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების" (შემდგომში — პოლიტიკის დოკუმენტი) შესაბამისად, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ კანონში 2005-2006 წლებში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ერთის მხრივ, ეს ცვლილებები, ისევე როგორც პოლიტიკის დოკუმენტი, საკმაოდ პროგრესულად ჩანს, თუმცა არსებობს გარკვეული პრობლემები და ტენდენციები, რომელთა აღმოფხვრაზეც დღესვეა აუცილებელი საუბარი, თუ გვსურს, რომ შევქმნათ მართლაც მდგრადი ენერგო-სისტემა.

## 2. საქართველოს ენერგო-პოლიტიკის ძირითადი ამოცანები

პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, უმთავრესი გრძელვადიანი ამოცანაა "საკუთარი ჰიდრო-რესურსებით ელექტროენერჯიაზე ქვეყანაში არსებული მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება", "ეტაპობრივად, ჯერ იმპორტის, შემდეგ კი - თბოგენერაციის ჩანაცვლებით". თუმცა, აქვე იკვეთება მეორე, უფრო გრძელვადიანი ამოცანაც, რომ "საქართველო ენერგეტიკული რესურსების იმპორტიორი ქვეყნიდან თანდათანობით უნდა იქცეს მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების მქონე, მდგრადი, კონუკურენტუნარიანი და მოქნილი, დამოუკიდებელი ენერგეტიკული შესაძლებლობების სახელმწიფოდ".

უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკის პროგრესული მიზნები, დოკუმენტში გაგებულია როგორც თავისთავად ენერგორესურსების არსებობა და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის განვითარება. ეს, ერთის მხრივ, ეჭვქვეშ აყენებს ზემოთ აღნიშნული მიზნის მიღწევის შესაძლებლობებს, ხოლო მეორეს მხრივ, მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოს გარემოსა და მოსახლეობაზე ნეგატიური ზეგავლენის რისკს.

ქვემოთ, შევეცდებით, განვიხილოთ პოლიტიკის დოკუმენტის ცალკეული ასპექტები და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო, პოლიტიკური თუ ინფრასტრუქტურული ინიციატივები.

## 2.1 ენერგოუსაფრთხოება

პოლიტიკის დოკუმენტის მთავარ პრიორიტეტსა და მიზანს წარმოადგენს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც უნდა დაეფუძნოს შემდეგი ამოცანების გადანყვეტას:

- უნდა მოხდეს სექტორში ტექნოლოგიურად მოძველებული და ფიზიკურად გაცვეთილი ტექნიკური ბაზის სრული გადაიარაღება;
- უნდა განხორციელდეს ახალი ელექტროსადგურების, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის გადაცემის ინფრასტრუქტურის მშენებლობა;
- მიღწეული უნდა იქნეს იმპორტირებული ენერგომატარებლების (ბუნებრივი გაზი, ნავთობი, ელექტროენერჯია) დივერსიფიკაცია;
- უნდა ჩამოყალიბდეს სექტორის კომერციულად მომგებიანი ეკონომიკური მოდელი.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, ენერგოუსაფრთხოების პრობლემა კვლავ მიწოდების უსაფრთხოებაზეა დაყვანილი. ენერგეტიკული რესურსების სამარაგო რეზერვუარების გაფართოება, ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაძლიერება და მიმწოდებლების მრავალფეროვნება ენერგოუსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია. გასათვალისწინებელია, რომ ენერგოუსაფრთხოების უპირველესი და ძირითადი ამოცანა სწორედ ენერჯიაზე მოთხოვნის, მასზე დამოკიდებულების შემცირება და სისტემის მდგრადობაა, რადგან ენერგოუსაფრთხოების კონცეფციის უმთავრესი მიზანი იმ რისკებისა და ზეგავლენის მინიმიზაციაა, რომელსაც ადგილი ექნება ენერჯიის მოწოდების შესაძლებელი დარღვევისას ეკონომიკასა და საზოგადოებაზე, და არა ფიზიკურად ენერგორესურსების არსებობა.

პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, საქართველოს ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა ძირითადად ახალი ენერგო-ობიექტების მშენებლობის ხარჯზეა მოსალოდნელი. დოკუმენტის მიხედვით, სწორედ ჰიდროენერგეტიკა უნდა იყოს სექტორის მთავარი მიმართულება. გარკვეული სამუშაოები ამ მიმართებით მთავრობას უკვე დაწყებული აქვს. ამჟამად, დაგეგმილია ნამახვანის კასკადის მშენებლობა (დადგმული სიმძლავრე 700 მეგავატი), ხუდონჰესის მშენებლობა (დადგმული სიმძლავრე 638 მეგავატი), დაახლოებით 32 მცირე და საშუალო ჰეს-ის მშენებლობა (დადგმული სიმძლავრე 511,7 მეგავატი). უკვე დაწყებულია წინასწარი სამუშაოები, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები ნამახვანის ჰეს-ების კასკადისა<sup>1</sup> და ხუდონის ჰიდროელექტროსადგურისათვის.<sup>2</sup>

ყურადღასაღებია, რომ აღნიშნულის პარალელურად პერიოდულად მიიღება სხვადასხვა ტიპის გადანყვეტილებები, რომლებიც საერთოდ სცდილდება პოლიტიკის დოკუმენტის პრიორიტეტებს. მაგალითისთვის, 2006 წელს საქართველოს ენერგოსისტემას შეემატა ორი 110 მეგავატის სიმძლავრის აირ-ტურბინა. პროექტის ინიციატორი თავად ენერგეტიკის სამინისტრო იყო, ხოლო პროექტი კომპანია ენერჯი ინვესტმა განახორციელა. 2007 წლის ზაფხულში ზემოაღნიშნულ ჰიდრო-პროექტებთან, ერთად მოულოდნელად კიდევ ორი ახალი ინიციატივის შესახებ გახდა საზოგადოებისათვის ცნობილი. სამინისტრომ გამოხატა დაინტერესება გარდაბნის

მე-6, მე-7 და მე-8 ენერგო-ბლოკების ტერიტორიაზე ქვანახშირის თბოელექტროსადგურის აშენებაზე და თხოვა დაინტერესებულ კომპანიებს, წარედგინათ მშენებლობის განხორციელების პირობები, ვადები, საპროგნოზო ტარიფი და ტექნიკურ-ფინანსური დოკუმენტაცია.

კიდევ უფრო საინტერესოა მეორე ინიციატივა, რომელიც საქართველოში ატომური ელექტროსადგურის შესაძლებლობას სწავლობს. უკვე შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელიც შეისწავლის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობას. ამასთან, გავრცელებული ინფორმაციით, მთავრობამ უკვე დაიწყო კონსულტაციები ფრანგულ კომპანია “არევა“-სთან ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე.

<sup>1</sup> სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 8 125 000 ლარი, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 5 აპრილის №176 განკარგულება

<sup>2</sup> მსოფლიო ბანკის წინასაინვესტიციო გრანტის ფარგლებში

გარკვეულწილად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთავრობის მიზანი რაც შეიძლება მეტი ენერგეტიკული ობიექტის მშენებლობაა და არა რეალური ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა. მსგავსი პროექტების განხორციელება მხოლოდ იმისათვის, რომ ქვეყანაში არსებობდეს გარკვეული ენერგოგენერაციის ობიექტები საკმაოდ სარისკოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ არ არსებობს ახალი ობიექტების მშენებლობის ორგანიზაციული და ფინანსური მოდელი,<sup>3</sup> აგრეთვე არ ჩატარებულა ელექტროენერგეტიკის სექტორის განვითარების გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასება (გზსმ). ამ ინსტრუმენტის გამოყენებით სრულად უნდა შეფასდეს ქვეყანაში არსებული პოტენციური და დაგეგმილ ქმედებათა გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური შედეგები, და შემოგვთავაზოს მდგრადი ენერგეტიკული სისტემის შექმნისთვის აუცილებელი სექტორის განვითარების სხვადასხვა სცენარები.<sup>4</sup>

1998 წელს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID-ის) დახმარებით შემუშავებული საქართველოს ელექტრო-ენერგეტიკის უმცირესი დანახარჯებით განვითარების გეგმა,<sup>5</sup> მიზნად ისახავდა დახმარებოდა საქართველოს მთავრობას განესაზღვრა კაპიტალური ინვესტიციების სქემა ელექტროენერგეტიკის სექტორში 2010 წლამდე. გეგმის თანახმად, უპირველესი საჭიროება იყო საქართველოში არსებული დიდი და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების აღდგენა და გადამცემი ხაზების რეაბილიტაცია. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ 2004 წლამდე ამ მიმართულებით პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. დღესაც ქვეყანაში დადგმული 2700 მეგავატი ჰიდრო-სიმძლავრიდან, დაახლოებით 1700 მეგავატი ფუნქციონირებს, ხოლო ეკონომიური განვითარების ინდექსი კვლავაც სტაბილურად დაბალია.

## 2.2 ენერგოსექტორის ეკონომიკური მდგრადობა და პრივატიზაცია

პოლიტიკის დოკუმენტის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ეტაპობრივი ლიბერალიზაცია, დერეგულირება და ბაზრის ახალი მოდელის დანერგვა. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა “ელექტროენერგეტიკისა და გაზის შესახებ” კანონში და პირველი ნაბიჯები გადაიდგა მკაცრად რეგულირებადი ბაზრიდან ბაზრის ლიბერალიზაციისაკენ პირდაპირი ხელშეკრულებებით, მესამე მხარის დაშვებით, მცირე ჰიდროელექტროსადგურების დერეგულირებით, ლიცენზიების გაუქმებით ბუნებრივი გაზის მონოდებაზე, საფეხურბრივი ტარიფის დაწესებით დაბალი ძაბვის საბოლოო მომხმარებლისათვის, აგრეთვე გრძელვადიანი ტარიფების დაწესებით ელექტროენერჯის გამყოფელთათვის და სხვა.

პოლიტიკის დოკუმენტში, დეკლარირებულია რომ ტარიფი უნდა იცავდეს მომხმარებელს მონოპოლიური ფასებისგან, თუმცა არც პოლიტიკაში და არც კანონში არ არის ჩადებული მექანიზმები, რომლებიც შეზღუდავს ბაზარზე (სახელმწიფო თუ კერძო) მონოპოლისტების წარმოქმნას. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში

<sup>3</sup> ახალი ობიექტების მშენებლობის ორგანიზაციული და ფინანსური მოდელი, რის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს ენერგოსისტემის განვითარების მნიშვნელოვანი პროექტები: ხუდონჰესის მშენებლობა, თურქეთთან დამაკავშირებელი ახალი 500 კვ გადამცემი ხაზის მშენებლობა, ახალი ჰიდროელექტრო-სადგურების მშენებლობა, მინისქვეშა გაზსაცავის მშენებლობა და ა.შ. საჭიროა თუ არა ენერგეტიკის სამინისტრო? თემურ მიქიაშვილი, გაზეთი “24 საათი” 16.06.06

<sup>4</sup> ამჟამად მსოფლიო ბანკის წინა-საინვესტიციო გრანტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მოსამზადებელ სამუშაოებს, მიმდინარეობს საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების ანგარიშის მომზადება. თუ ვიმსჯელებთ ტექნიკური დავალებით, ამ კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანია “დადგინდეს, თუ რამდენად ჯდება ხუდონის ჰიდროელექტროსადგური ენერჯის გენერაციის სქემაში”. კონსულტანტი კომპანია უბრალოდ ვალდებულია შეიმუშავოს ენერგომომხმარებლის სცენარი 2012 წლამდე, მოამზადოს უმცირესი დანახარჯების გეგმა და დაითვალოს ხუდონის არაპირდაპირი ხარჯები. ამასთან, მას არ მოეთხოვება შეაფასოს სხვადასხვა ალტერნატივები (ბიომასა, ქარი, გეოთერმალური, მცირე ჰიდრო და სხვ.) და წარმოადგინოს უმცირესი დანახარჯებით ენერგოსექტორის განვითარების გეგმა.

<sup>5</sup> Burns & Roe Enterprises Inc.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა პრაქტიკულად არ არსებობს, ნამდვილად რთული იქნება ელექტროენერგეტიკისა და გაზის სექტორში კონკურენციის ხელშეწყობა, რაც საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს.

პოლიტიკის დოკუმენტი ხაზს უსვამს პრივატიზაციის პროცესის გამჭვირვალობის მნიშვნელობას ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით და აცხადებს, რომ საჭიროა: “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში პრივატიზაციის პროცესის გამჭვირვალედ ჩატარება, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის საბოლოო მომხმარებლების სტაბილური მომარაგება”.

სამწუხაროდ, 2006-2007 წლებში ჩატარებული პრივატიზაცია საკმაოდ შორს დგას პოლიტიკის დოკუმენტში წარმოდგენილი ზემოაღნიშნული თეზისგან. მაგალითისთვის, უკანასკნელ წლებში მოხდა ჰიდროელექტროსადგურების უდიდესი ნაწილის გასხვისება. 2006 წლის გაზაფხულზე გამოცხადდა 6 მთავარი ჰესის (ენგურ-ჰესის გარდა) და სამი სადისტრიბუციო კომპანიის პრივატიზაცია.<sup>6</sup> პრივატიზაციის შედეგად კომპანია “ენერგო პრო” გახდა საქართველოს ენერგობაზრის 62,5%-ის მფლობელი, თუმცა პროცესი აბსოლუტურად გაუმჭვირვალედ წარიმართა. როგორც ობიექტების შერჩევა, ასევე საპრივატიზაციო ხელშეკრულებისა და პირობების მომზადება საზოგადოების ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე განხორციელდა (პროცესში არ იყო ჩართული არც არასამთავრობო ორგანიზაციები, არც პროფკავშირები).

კიდევ ერთი მაგალითი გაუმჭვირვალედ ჩატარებული პრივატიზაციისა არის ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის კასკადი. აღმოჩნდა, რომ ყოვლად გაურკვეველი მიზეზების გამო, შპს “ვარციხე 2005”-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის ნასყიდობის თაობაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს “G.M. Georgian Manganese Holding Limited”-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.<sup>7</sup>

ამ მიმართებით, კიდევ უფრო დიდ პრობლემად გვევლინება ე.წ. სტრატეგიული ობიექტების, მაგალითად, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის (რომლის გამომუშავება საქართველოში წარმოებული ენერჯის 40%-ს შეადგენს) და გაზის მაგისტრალური მილსადენის პრივატიზების საკითხი. ექსპერტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ უნდა შეინარჩუნოს კონტროლი მსგავს ობიექტებზე, ენერგო-უსაფრთხოების კონცეფციიდან გამომდინარე. თუმცა პერიოდულად მიუხედავად, გარკვეული უკვე აღებული საერთაშორისო ვალდებულებისა ადგილი აქვს მთავრობის მხრიდან მსგავსი ინიციატივების წამოჭრას. ამჟამად საქართველოს მთავრობას აღებული აქვს ვალდებულება, არ მოახდინოს მაგისტრალური მილსადენის გასხვისება 2010 წლამდე, თუმცა, ამ ეტაპზე ძნელია შემდგომი პროცესების პროგნოზირება.

ამასთან, არსებული ტენდენცია, რომ ენერგო-ობიექტების გასხვისებით მოხდება ენერგეტიკის სექტორში არსებული პრობლემების სწრაფი და შეუქცევადი გადაწყვეტა, საკმაოდ სახიფათოა. უფრო მეტიც, გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს მთავრობაში არსებობს მოსაზრება, რომ მას შემდეგ, რაც მოხდება გენერაციისა და განაწილების ყველა ობიექტის პრივატიზაცია, საქართველოს აღარ დასჭირდება ენერგეტიკის სამინისტრო როგორც ცალკე სტრუქტურული ერთეული და ის შეუერთდება ეკონომიკის სამინისტროს.<sup>8</sup> ექსპერტები ნეგატიურად აფასებენ მსგავს ნაბიჯს და მიაჩნიათ, რომ მსგავსი ქმედება დამანგრეველ

<sup>6</sup> ორი სადისტრიბუციო კომპანია (საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგო-კომპანია და აჭარის ენერგო-კომპანია) და ექვსი ჰესი (ანჰესი, ძვერულჰესი, ლაჯანურჰესი, რიონჰესი, შაორჰესი, გუმათჰესების კა-სკადი) 312 მილიონ 350 ათას დოლარად შეიძინა ჩეხურმა კომპანიამ “ენერგო პრო”, ხოლო კახეთის სადისტრიბუციო კომპანია TBC ჯგუფმა იყიდა.

<sup>7</sup> ამ შემთხვევასთან დაკავშირებული მწვანე ალტერნატივას მიერ ინიცირებული სასამართლო პროცესი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, ვინაიდან სასამართლომ ვერ მოახერხა მესამე მხარედ ჩაერთო საქმეში კომპანიის წარმომადგენლები, საქართველოში მათი იურიდიული მისამართის არ ქონის გამო.

<sup>8</sup> Reorganization in the government: two ministries to be abolished?, M. Alkhazashvili, Tuesday, June 13, 2006, #108 (1128)

ზეგავლენას მოახდენს საქართველოს ენერგეტიკულ სექტორზე.

### 2.3 ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგეტიკის განვითარების ხელშეწყობა

ამჟამად საქართველოში არ არსებობს არანაირი სტრატეგიული ხედვა, რომ არაფერი ვთქვათ აბსოლუტურ საკანონმდებლო ვაკუუმზე, ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგეტიკის განვითარებისათვის. ამ მიმართებითაც ენერგოპოლიტიკის დოკუმენტი ღიად ადასტურებს, რომ ის არ არის მიმართული გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოში მდგრადი ენერგეტიკული სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობაზე.

მაგალითისთვის, პოლიტიკის დოკუმენტში აღიარებულია, რომ “საქართველოს ბუნებრივი პირობები საშუალებას იძლევა, მნიშვნელოვნად იქნეს განვითარებული ალტერნატიული ენერჯის წყაროები”, თუმცა, იგივე დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ “ტრადიციული და ალტერნატიული ენერჯის წყაროების გამოყენება თანაბარ პირობებში უნდა მოექცეს”, რაც პრინციპულად ზღუდავს განახლებადი ენერგეტიკის ფართოდ განვითარების შესაძლებლობებს და აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ევროკავშირში არსებულ ალტერნატიული ენერჯის განვითარების პრაქტიკასა და პრინციპებს.

#### ჩანართი 1. ენერგოეფექტურობა

სამწუხაროდ საქართველოში დღემდე არ ჩატარებულა ქვეყნის მთლიანი ენერგოეფექტურობის შეფასება. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, საქართველოში ენერჯის მოხმარება მნიშვნელოვნად შემცირდა და დღეისთვის ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 0,8-1 ნავთობის ეკვივალენტს (tnes) შეადგენს წელიწადში, რაც 2-3-ჯერ ნაკლებია მსოფლიო საშუალო მაჩვენებელზე. აქვე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ კლება მოხდა ენერჯის მოხმარების შემცირების და არა ენერგოეფექტურობის ხარჯზე, ენერგოინტენსივობის მაჩვენებლები კი, როგორც სამრეწველო ისე საყოფაცხოვრებო სექტორში, საკმაოდ მაღალია. მაგალითისთვის, საქართველოს ეკონომიკაში ენერგოინტენსივობის მაჩვენებელი 0,7 კგნე/\$-ს უტოლდება რაც მსოფლიო საშუალო მაჩვენებელზე დაახლოებით 2-ჯერ მეტია (0,32 კგნე/\$”).

ყოველივე ეს არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ როგორც საყოფაცხოვრებო ისე სამრეწველო სექტორში, ძირითადად გამოიყენება საბჭოთა კავშირის დროს წარმოებული ტექნიკა. ამასთან, სამრეწველო სექტორში მოხმარებული ენერჯია შეადგენს მხოლოდ 14% მთლიანი საბოლოო მოხმარებისა, ხოლო საყოფაცხოვრებო სექტორი მოიხმარს მთლიანი საბოლოო მოხმარების დაახლოებით ნახევარს. მსგავსი ტენდენცია ასევე ეწინააღმდეგება მსოფლიოში არსებულ პრაქტიკას, სადაც ენერჯის მთლიანი საბოლოო მოხმარების 70%-ს შეადგენს სამრეწველო კომპლექსი.

ექსპერტული გათვლებით, “წარმოებისა და მოხმარების სფეროებში ენერგოეფექტიანობის გაზრდა მხოლოდ 10%-ით, ქვეყნის დამოკიდებულებას იმპორტირებულ ენერგეტიკულ რესურსებზე დაახლოებით 20%-ით შეამცირებს”. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2001-2005 წლებში ენერჯის გამოიმუშავება საქართველოში გაიზარდა 3,8%, ხოლო მოთხოვნა 26%-ით. შესაბამისად, თუ სახელმწიფოს სურს, რომ შესრულდეს პოლიტიკის მთავარი ამოცანა - შემცირდეს დამოკიდებულება იმპორტირებულ ენერჯიაზე - აუცილებელია ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგეტიკის განვითარება.

ამასთან, პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებში მდგრადი ენერგეტიკის ისეთი კომპონენტი როგორცაა, ენერგოეფექტურობა მოხსენებულია მხოლოდ დეკლარაციულ დონეზე, “სამრეწველო და საყოფაცხოვრებო სფეროებში ენერგოეფექტურობის ამაღლების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოების ჩამოყალიბება”, ენერჯის ეფექტიანად გამოყენების მიმართულებაში. ამავე მიმართულებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა “თბომომარაგებისა და კოგენერაციული სისტემების, აგრეთვე განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებების შესწავლა და დანერგვა”, თუმცა, არაფერია ნათქვამი, მაგალითად, როგორ უნდა მოხდეს ენერჯის დაზოგვა,

ენერგოეფექტურობის ზომების გატარება ანდა სამომხმარებლო მოთხოვნების მართვა.

ზოგადად, რჩება შთაბეჭდილება, რომ ენერგეტიკის ისეთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ქვე-დარგები, როგორცაა თბომომარაგება და ენერგოეფექტურობა, საერთოდ არ განიხილება საქართველოში ენერგეტიკის ნაწილად.

## ჩანართი 2. განახლებადი ენერგეტიკა

საქართველოს გააჩნია საკმაოდ დიდი განახლებადი ენერგეტიკული პოტენციალი. უპირველესად ეს შეეხება მცირე ჰიდრო ენერგეტიკის განვითარების უდიდეს შესაძლებლობას საქართველოში. კვლევების თანახმად, მცირე ჰიდროენერგეტიკის განვითარება საკმაოდ მომგებიანი ასევე გარემოსდაცვითი პერსპექტივებიდან. საქართველოში დაახლოებით 26 000 მდინარე — დაახლოებით 60 000 კმ ის სიგრძის. USAID, UNDP, GEF და სხვა კვლევების თანახმად, 300 მდინარის ანალიზის შედეგად დაახლოებით 1200 დერევაციული ტიპის მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა შესაძლებელია, საიდანაც 700 შეიძლება აიგოს დასავლეთ საქართველოში. მთლიანი დადგმული სიმძლავრე იქნება 3000 მეგავატი, საიდანაც 2000 მეგავატი მოდის დასავლეთ საქართველოზე, წელიწადში 16000 გიგავატ/საათი ენერჯის წარმოებით (აქედან 11 000 მეგავატსაათი დასავლეთ საქართველოში).

ასევე დიდი პოტენციალი გააჩნია ქარის ენერგეტიკის განვითარებას, წლიური 4,5 TWh ტექნიკური პოტენციალით. ამჟამად უკვე შესწავლილია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქარის რეჟიმები, გამოყოფილია შესაბამისი ზონები და იდენტიფიცირებულია ათამდე პერსპექტიული ადგილი ქარის ელექტროსადგურების მშენებლობისათვის, საერთო დადგმული სიმძლავრით 1450 მეგავატი, წლიური გამომუშავებით 4160 გიგავატი/საათში.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს არა მხოლოდ კანონმდებლობის მიღებას ენერგოეფექტურობის და ენერჯის განახლებადი წყაროების შესახებ, აგრეთვე მათი გამოყენებისათვის სამოქმედო გეგმის (ფინანსური გეგმის ჩათვლით) შემუშავებისათვის ნაბიჯების გადადგმასა და ამ საკითხებით დაკავებული ინსტიტუტების გაძლიერებას.<sup>9</sup>

ევროპულ სტრუქტურებსა და ევროტლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით შემუშავებული 2007-2010 წლების დეტალური სამოქმედო გეგმა-მატრიცის თანახმად,<sup>10</sup> ენერგეტიკის სამინისტროს დაგეგმილი აქვს დაიწყოს მუშაობა “შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზის სრულყოფის მიზნით სამუშაო დოკუმენტზე” და მოამზადოს „შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივები“. არც გეგმა მატრიცაში და არც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების 2007 წლის სტრატეგიაში არაფერია ნათქვამი ენერგოეფექტურობისა და ენერჯის განახლებადი წყაროების სამოქმედო გეგმის მომზადებაზე.

ზემოთ აღნიშნული არც არის გასაკვირი, ვინაიდან, მთავრობას მიაჩნია, რომ პრაქტიკული ღონისძიებები, მათ შორის, საპილოტო პროექტების განხორციელება, “ბაზრის საქმეა” და ბაზარი თავად დაარეგულირებს და განავითარებს ენერგოეფექტურობასა და განახლებად ენერგეტიკას. თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკის დოკუმენტში არსებულ ჩანაწერს, რომ

<sup>9</sup> ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში (თავი 4., 4.6.2), 2006 წლის ნოემბერი

<sup>10</sup> დეტალური სამოქმედო გეგმა-მატრიცა შემუშავდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შესრულებისათვის 2007 წლის იანვარში ევროპულ სტრუქტურებსა და ევროტლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ. დოკუმენტი ეყრდნობოდა თითოეული სამინისტროსგან მიღებულ მოქმედებათა გეგმას. საქართველოს მთავრობამ ორჯერ განიხილა დოკუმენტი, თუმცა, შემდეგში უარი განაცხადა მის დამტკიცებაზე. “ძირითადი შენიშვნები მდგომარეობდა იმაში, რომ გეგმა იყო ძალზე დეტალური და საქართველოს ხელსუფლება ვერ შეძლებდა მის შესრულებას, ხოლო გეგმაში არსებული ზედმეტი რეგულაციები ხელს შეუშლიდა თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბებას”. საქართველო და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, პერსპექტივები და გამონწვევები, Policy Paper N8, OSGF, თბილისი, 2007

„ტრადიციული და ალტერნატიული წყაროების გამოყენება თანაბარ პირობებში იქნება მოქცეული“ და რომ ენერგოეფექტურობა ფაქტობრივად არ მიიჩნევა ენერგოეფექტორის შემადგენელ ნაწილად, გაურკვეველია, რა სტიმული რჩება კერძო სექტორს ამ ორი მიმართულების განვითარებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტმა 2007 წელს ენერჯის რეგულირების მეორე სასესიო ხელშეკრულების რატიფიკაციისას აიღო ვალდებულება, რომ 2008 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს ექნება სრული საკანონმდებლო პაკეტი ენერგოეფექტურობის და ენერჯის განახლებადი წყაროების შესახებ.<sup>11</sup> მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით მიმდინარე სამუშაოების შესახებ ფართო საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი.

### ჩანართი 3. თბომომარაგება

საქართველოში ცენტრალიზებული თბომომარაგების სისტემები ენერგეტიკული კრიზისის დასაწყისისას მოიშალა. დღესდღეისობით ამ მიმართულებით ფაქტობრივად არაფერი არ ხორციელდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის საპილოტო პროექტს გეოთერმული წყლებით თბილისის გარკვეული უბნების მომარაგებას, რომელიც სახელმწიფო თანადაფინანსების უქონლობის გამო ფაქტობრივად შეჩერებულია. ქვეყანაში არ არსებობს სტატისტიკა თუ რა რაოდენობის მოხმარებული პირველადი ენერჯია იხარჯება გათბობა-ცხელწყალმომარაგებაზე. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სტატისტიკის თანახმად, საშუალოდ მოხმარებული პირველადი ენერჯია 25-30% სწორედ თბომომარაგებაზე იხარჯება.

საქართველოში თბომომარაგების ფუნქცია გარკვეულ წილად ელექტროენერჯეტიკამ იტვირთა, რასაც საკმაოდ მიიმე შედეგი მოჰყვა სისტემისთვის. გარდა ამისა, დიდი რაოდენობით ნავთობის, გაზისა და შემის ღუმლების გამოყენებას მაღალ სართულიან სახლებში მოჰყვა თანმდევი გარემოსდაცვითი პრობლემები, საცხოვრებლის ჰაერის დაბინძურება, ჯანმრთელობის გაუარესება და სხვ.

## 2.4 საქართველოს ენერგო-პოლიტიკის ევროპული ვექტორი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირის-საქართველოს სამოქმედო გეგმა პირდაპირ ითხოვს “ენერგეტიკის პოლიტიკის მიზნების დაახლოებას ევროკავშირის ენერგო-პოლიტიკის მიზნებთან” “კარგად გათვლილი და გრძელვადიანი ენერგეტიკული პოლიტიკის” შემუშავებისა და განხორციელების გზით, რათა თანდათან დაუახლოვდეს “ევროკავშირის ენერგოპოლიტიკურ მიზნებს, ენერგო-რესურსების უსაფრთხოების ჩათვლით”.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული დეტალურ გეგმა-მატრიცაში<sup>12</sup> აღნიშნულია, რომ საქართველოს ენერგეტიკულ სექტორის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დოკუმენტი წარმოადგენს სწორედ იმ დოკუმენტს, რომელიც დაახლოებს საქართველოს ენერგო-პოლიტიკას ევროკავშირის ენერგო-პოლიტიკასთან და ამ მიმართებით არ არის დაგეგმილი რაიმე დამატებითი ქმედებების განხორციელება.

გარკვეული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, რომელიც უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში განხორციელდა საქართველოს ელექტროენერჯეტიკისა და გაზის მარეგულირებელ კანონმდებლობაში, ჯერ კიდევ ბევრ პრობლემას ვაწყდებით საქართველოს კანონმდებლობის

<sup>11</sup> საქართველოს პარლამენტის 2007 წ. 15 მარტის №4457 დადგენილება “ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მეორე სასესიო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ”

<sup>12</sup> დოკუმენტი მომზადდა სამინისტროების მიერ ევროპის სამოქმედო გეგმის შესასრულებლად, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით 2006 წლის მინურულს, მაგრამ ბოლოს დაწუნებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ, როგორც ძალზე დეტალური დოკუმენტი.

შედარებისას მის ევროპულ ანალოგთან. ექსპერტთა განცხადებით "საქართველოს ენერგეტიკული სფეროს საკანონმდებლო და მარეგულირებელი აქტების იერარქია არ შეესაბამება ევროპულ ანალოგს. მასში თანაბარზომიერად არ არის გადანაწილებული იურიდიული ძალმოსილება პოლიტიკურ დოკუმენტებს, კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს შორის. ძალიან ხშირად გვხვდება დეკლარაციული ტიპის ჩანაწერები, რომელთა შესრულება ფაქტობრივად შეუძლია შესაბამისი ინსტიტუტებისა და მექანიზმების არ არსებობის გამო. საქართველოში მოქმედი ენერგოკანონმდებლობა არ ქმნის ისეთსავე გამჭვირვალე სტრუქტურას, როგორსაც შესაბამისი ევროპული დირექტივები გვთავაზობენ".<sup>13</sup> მაგალითისთვის, 2007 წელს მიღებული ცვლილებებით კანონი უკვე აყალიბებს ლიცენზიის მიღების პირობებს, რაც ადრე სემეკის პრეროგატივა იყო და ეს ცვლილება წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, კანონში ჯერ კიდევ არ არის "ჩამოყალიბებული გენერაციის ობიექტის ბაზარზე შესვლის და ქსელთან მიერთების წესები, რომლებიც აუცილებელია დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და გამჭვირვალობისათვის. ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად გენერაციის ობიექტები საერთოდ გათავისუფლებულია რეგულირების და ლიცენზირებისაგან და მხოლოდ ქსელთან მიერთებისას საჭიროებენ ავტორიზაციას, რაც უსაფრთხო და კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს".<sup>14</sup> საქართველოში ლიცენზია გაიცემა შემდეგ საქმიანობებზე: ელექტროენერჯის წარმოება, დისპეჩერიზაცია, გადაცემა, განაწილება, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება და განაწილება.

ლიცენზირების პროცესის ერთ-ერთი დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ყველა საქმიანობისათვის მოითხოვება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დასკვნა. თუმცა კანონში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ამ დასკვნას "ლიცენზიის გამცემი მოიპოვებს ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, საქართველოს კანონით განსაზღვრული ერთი სარკმლის პრინციპის შესაბამისად", ანუ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით 20 დღეში. თუმცა რა დატვირთვა აქვს ამ მოთხოვნას ყოვლად გაურკვეველია. საინტერესოა, რა საჭიროა მსგავსი დასკვნის არსებობა ზემოთაღნიშნული ქმედებების განხორციელებისას და როგორ შეიძლება მისი გამოყენება სემეკის მიერ ლიცენზიის პირობების შესრულების კონტროლისას, რადგანაც მისი შემდგომი გამოყენების შესაძლებლობები კანონით არ არის განსაზღვრული.

ჩვეულებრივად, ევროკავშირის ქვეყნებში ენერგეტიკული ობიექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე ნებართვა გაიცემა ამ ობიექტების მშენებლობამდე (ახალი გენერაციის ობიექტის და გადამცემი ხაზების მშენებლობა, გამანაწილებელი ინფრასტრუქტურის ინსტალაცია), ხოლო ობიექტის ფუნქციონირებისას, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საფუძველზე მზადდება გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა, რომლის შესრულებაზეც პასუხისმგებელია პროექტის განმახორციელებელი, კონტროლს კი ახორციელებს შესაბამისი გარემოსდაცვითი სტრუქტურა.

აღსანიშნავია, ისიც რომ საკანონმდებლო განსხვავებებთან ერთად კიდევ უფრო მკვეთრად იკვეთება განსხვავება საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკის დონეზე. ევროკავშირი უპირველეს პრიორიტეტად ხედავს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას, ინსტიტუციურ თავსებადობას და ენერგოუსაფრთხოების კონცეფციის განხორციელებას, როგორც გარემოსდაცვითი, ასევე სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური მდგრადობის თვალსაზრისით. საქართველოს ხელისუფლებისთვის კი უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ქვეყანაში ენერგოგენერაციის ობიექტების რეაბილიტაცია და ახალი ობიექტების მშენებლობა, ენერჯის ექსპორტის მიზნით.

ექსპერტთა აზრით, საქართველოს მთავრობის ძირითადი მიმართულებები არ ეთანხმება ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკისა მოთხოვნებსა და მიზნებს და არ შეესაბამება

<sup>13</sup> საქართველო ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის კონტექსტში, თეიმურაზ გოჩიაშვილი, მინდაუს კრაკაუსკასი, გიორგი აბულაშვილი. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, ივნისი 2006 წ.

<sup>14</sup> საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში მოქმედი საკანონმდებლო-მარეგულირებელი ბაზა და მისი შესაბამისობა ევროგაერთიანების ანალოგთან, გ. აბულაშვილი, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო, დამოუკიდებელ ექსპერტთა აზრი, თბილისი, 2007

ევროპის მდგრადი, კონკურენტული და უსაფრთხო ენერჯის სტრატეგიას.<sup>15</sup> "საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია ენერჯის რეგულირების ფორმატი და პრივატიზაციის პრინციპები, მაგრამ არაფერია ნათქვამი კონკურენტული გარემოს შექმნაზე, რაც ენერგეტიკული ეფექტიანობის და უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრის აუცილებელი პირობაა. დასახულ ღონისძიებათა ნაწილი მხოლოდ აღწერს სხვადასხვა სახის ენერგეტიკული რესურსების პოტენციალს, მაგრამ არ ადგენს მისი ათვისების ჩარჩოებს და რაც მთავარია, არ განსაზღვრავს მათ როლს ენერგეტიკული პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში".<sup>16</sup>

#### **ჩანართი 4. ევროკავშირის ენერგეტიკული გზამკვლევი შავი ზღვისა და კასპიის ზღვის რეგიონებისთვის**

2004 წელს ევროკავშირისა და შავი და კასპიის ზღვისპირა ქვეყნების ენერგეტიკის მინისტრების მიერ ხელმოწერილი დეკლარაციის "ბაქოს ინიციატივის" საფუძველზე, 2006 წელს ევროკომისიამ გამოაქვეყნა ე.წ. "ენერგეტიკული გზამკვლევი" ამ რეგიონისათვის. დოკუმენტი მიზნად ისახავს ევროკავშირის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ენერგეტიკული რესურსებით ვაჭრობის, ტრანსპორტირებისა და მათთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით საკითხებში მოქმედი პოლიტიკის, კანონმდებლობისა და სტანდარტების თანმიმდევრულ ჰარმონიზაციას. თანამშრომლობა ძირითადად ოთხი მიმართულებით უნდა განხორციელდეს:

1. ევროგაერთიანების შიდა ენერგეტიკული ბაზრის პრინციპებზე დაყრდნობით მონაწილე ქვეყნების ენერგეტიკული ბაზრების კონვერგენცია (მათ შორის არადისკრიმინაციული კონკურენტის, მკაცრი გარემოსდაცვითი მოთხოვნების, ეფექტურობის, საიმედოობის და უსაფრთხოების, მათ შორის ატომური უსაფრთხოების, პრინციპების ინტეგრირება, შემდგომი ინტეგრაცია ევროგაერთიანების შიდა ენერგეტიკულ ბაზართან).
2. ენერგორესურსების იმპორტ-ექსპორტის, მიწოდების გზების დივერსიფიკაციის, ტრანზიტისა და ენერგორესურსებზე მოთხოვნილების საკითხების საშუალებით ენერგოუსაფრთხოების ამაღლება.
3. მდგრადი ენერგეტიკის განვითარება, რაც მოიცავს ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისების ხელშეწყობას
4. ერთობლივი რეგიონული პროექტების განხორციელება

გზამკვლევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს ენერგეტიკულ პოლიტიკას საკმაოდ დიდი გზა აქვს გასავლელი ევროკავშირის ენერგო-პოლიტიკის მიზნებთან დასახლოვებლად.

<sup>15</sup> Green Paper, A European Strategy for Sustainable, Competitive and Secure Energy, Commission of the European Communities, Brussels 8.3.2006

<sup>16</sup> საქართველო ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის კონტექსტში, თეიმურაზ გოჩიტაშვილი, მინდაუს კრაკაუსკასი, გიორგი აბულაშვილი. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, ივნისი 2006 წ.

### თავი 3. ევროკავშირის პოლიტიკა ენერგო-სექტორში

ლისაბონის დღის წესრიგის<sup>17</sup> შესაბამისად, ევროკავშირის მთავარი მიზანი მდგრადი განვითარების მიღწევას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების ბალანსი. თუმცა დღესდღეისობით ეკონომიკური განვითარება აშკარად სჭარბობს მდგრადი განვითარების ორ სხვა ასპექტს, რაც საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს ევროპაში.

ზოგადად, ევროკავშირში უკანასკნელ წლებში ადგილი აქვს ენერგომომხმარების გარკვეულ ზრდას წელიწადში 1-2%-ით. შესაბამისად, თუ გაგრძელდა არსებული ტენდენცია, 2030 წლისათვის დაახლოებით 70% ენერჯისა, რომელსაც ევროკავშირი მოიხმარს იმპორტირებული იქნება, ხოლო ორგანული საწვავის წილი ენერგო მონოდებაში მიაღწევს 90%-ს, რაც შესაბამისად გამოიწვევს სათბური გაზების ზრდას.

უკანასკნელი ევრობარომეტრის თანახმად, ევროპის მოსახლეობა საკმაოდ შემოფოთებულია გარემოსდაცვითი საკითხების იგნორირებით ენერგო-სექტორში. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულება, რომელიც აღებული აქვს ევროკავშირს, წარმოადგენს კლიმატის ცვლილების შემოქმედების შემცირება. ევროკავშირის ამოცანა შემდეგში მდგომარეობს - სათბური გაზების ემისიის შემცირება ეკონომიკური ზრდის ფონზე. ამ ამოცანის ფონზე ყველაზე დიდი ყურადღება სწორედ ენერგოსექტორის გარემოსდაცვით ასპექტებს ექცევა.

უკანასკნელ წლებში არსებულმა სიტუაციამ (ნავთობზე ფასის მკვეთრი ზრდა, პრობლემები გაზის მინოდებაში რუსეთთან) აიძულა ევროკავშირის წევრი ქვეყნები დაეწყოს მუშაობა ევროკავშირის ერთიანი ენერგო-პოლიტიკის შექმნაზე. რასაკვირველია, ევროკავშირის ენერგო-პოლიტიკის წარმატებულობა მთლიანადაა დამოკიდებული წევრი-ქვეყნების მიერ აღებულ ვალდებულებებზე, კომპეტენციასა და შესრულების ხარისხზე. ევროკავშირი უზრუნველყოფს ზოგად ხელმძღვანელობას იმ საკითხებზე, რომელზეც უკვე არსებობს კონსენსუსი, ასეთია განახლებადი ენერგეტიკა, ენერგოეფექტურობა და სხვ.

წევრი-ქვეყნები ჯერ კიდევ არ არიან მზად შეთანხმდნენ ენერგოპოლიტიკის ყველა ასპექტზე. მაგალითად, საფრანგეთი ცდილობს ააღორძინოს და გააძლიეროს ატომური ენერგეტიკა, დიდი ბრიტანეთი ცდილობს გააუმჯობესოს შიდა ენერგო ბაზარი, ავსტრია ცდილობს ბიომასის, როგორც ენერჯის ალტერნატიული წყაროს ხელშეწყობას, დანია და ირლანდია კი ქარის ენერჯიას ანიჭებენ უპირატესობას.

დღეს, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ენერგეტიკა წარმოადგენს ევროკავშირის დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. ისეთი საკითხები, როგორიცაა: მინოდების უსაფრთხოება, ფასები, მასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობის ზემოქმედება, მაგალითად, საიდან მოდის ენერჯია და რამდენად ფართო საზოგადოებრივი ზემოქმედება აქვს მას, მუდმივად წარმოადგენს დებატების საგანს. უკანასკნელმა ევრობარომეტრმა<sup>18</sup> ასევე ცხადყო, რომ მოსახლეობის აზრით, აუცილებელია ყველა დონეზე ქმედებების განხორციელება წარმატებული ენერგო-პოლიტიკის შესამუშავებლად. ამასთან, გამოკითხულთა 50%-თვის, რომ საჭიროა ქმედებების გატარება ევროკავშირის დონეზე, ხოლო დანარჩენები უპირატესობას ეროვნულ დონეს ანიჭებენ. ამასთან, მოსახლეობის უმეტესობა მიესალმება განახლებადი ენერჯიის გამოყენებასა და ენერგოეფექტურობის კიდევ უფრო მეტ დანერგვას, როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ დონეზე.

<sup>17</sup> 2000 წელს ევროკავშირმა წარმოადგინა 10-წლიანი განვითარების სტრატეგია (ლისაბონის სტრატეგია), რომლის მიზანიც იყო ევროკავშირი გამხდარიყო ყველაზე კონკურენტუნარიანი და დინამიური ეკონომიკის მატარებელი მსოფლიოში, მკვეთრი ზრდით, სამუშაო ადგილების შექმნითა და სოციალური და გარემოსდაცვითი პოლიტიკებით, რამაც საბოლოო ჯამში უნდა მიიყვანოს ევროკავშირი მდგრად განვითარებამდე და სოციალურ ერთიანობამდე.

<sup>18</sup> საზოგადოებრივი აზრის კვლევა ევროკავშირის ქვეყნებში

2006 წლის მარტში ევროკომისიამ დაამტკიცა მწვანე წიგნი "ევროპული სტრატეგია მდგრადი, კონკურენტუნარიანი და უსაფრთხო ენერგეტიკისათვის".<sup>19</sup> დოკუმენტთან დაკავშირებით განხორციელებული კონსულტაციების შედეგად უპირველეს პრიორიტეტად გამოიკვეთა ერთიანი ევროპული ენერგო-პოლიტიკის შემუშავება, ხოლო სამი პრიორიტეტიდან (მდგრადობა, კონკურენტუნარიანობა და უსაფრთხოება,) უპირატესობა მიეცა მდგრადობას.<sup>20</sup> მწვანე წიგნის საფუძველზე, 2007 წლის დასაწყისში ევროკომისიამ გამოაქვეყნა ახალი პაკეტი დოკუმენტების "ენერგია ახალი მსოფლიოსთვის",<sup>21</sup> რომელიც მოიცავდა: "ენერგო-პოლიტიკას ევროპისთვის", "განახლებადი ენერჯის გზამკვლევი", "შიდა გაზისა და ელექტრო ბაზრის განვითარების შესაძლებლობები", "ურთიერთქმედების პრიორიტეტული გეგმა ელექტრობაზრისა და გაზის მიწოდებისთვის", "მდგრადი ელექტროენერჯის გენერაცია ორგანული საწვავიდან",<sup>22</sup> "ევროპული სტრატეგიული ენერგოტექნოლოგიური გეგმა" და სხვა.

2007 წლის მარტში ევროპის საბჭო შეთანხმდა ევროპის ენერგო-პოლიტიკაზე. ის ითვალისწინებს განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის ზრდას 20-20%-ით 2020 წლისათვის, ხოლო ბიოსაწვავის გამოყენების ზრდას 10%-ით. ამასთან, გაცხადებულია 30%-ით ემისიების შემცირება 1990-2020 წლებში, ხოლო 2050 წლამდე ემისიების 60-80%-ით შემცირების პერსპექტივით, ოღონდ იმ პირობით, რომ სხვა განვითარებული ქვეყნებიც ასევე შეამცირებენ ემისიებს. თუ საერთაშორისო შეთანხმება არ შედგა, ევროპის საბჭომ დაადგინა, რომ ევროკავშირის ქვეყნები შეეცდებიან სულ ცოტა 20%-ით შეამცირონ სათბური გაზების ემისია 1990-2020 წლებში. გარდა ამისა, ევროპის საბჭომ დაადგინა, რომ უნდა:

- გაუმჯობესდეს შიდა ბაზრის ფუნქციონირება, საგენერაციო და სადისტრიბუციო კომპანიების უკეთესი განცალკევების ჩათვლით;
- გაიზარდოს საერთაშორისო თანამშრომლობამიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა, და ენერგოიმპორტიორ ქვეყნებში ენერგოეფექტურობის დანერგვისა და განახლებადი ენერჯის განვითარების მიზნით;
- შემუშავდეს ახალი დირექტივა განახლებად ენერგეტიკაზე;
- გაძლიერდეს თანამშრომლობა ოთხ პრიორიტეტულ ტრანსევროპულ ქსელზე, მათ შორის ნაბუკოს გაზსადენზე (თურქეთსა და ავსტრიას შორის), ელექტროგადამცემ ქსელზე გერმანიასა და პოლონეთიდან ბალტიის ქვეყნებს შორის.

### 3.1 ევროკავშირის პოლიტიკის მიზნები და ამოცანები

ევროკავშირის ენერგო-პოლიტიკა ორ ურთიერთდაკავშირებულ საკითხზეა ფოკუსირებული: მოსახლეობის უზრუნველყოფა ენერჯით და მიწოდების უსაფრთხოება. თუ ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელია გარემოსდაცვითი და სოციალური სტრუქტურების უგულვებელყოფის გარეშე, მიიჩნევა, რომ ჩამოყალიბებულია მდგრადი ენერგეტიკული სისტემა. თუმცა მთავარ კითხვაზე პასუხი, თუ რამდენად უზრუნველყოფს ევროკავშირში არსებული პოლიტიკები მოსახლეობას მდგრადი ენერჯით, რომელიც პასუხობს მოსახლეობისა და მრეწველობის მოთხოვნილებას და ამავდროულად უზრუნველყოფს მომავალში ენერჯის ხელმისაწვდომობას და არ აზიანებს გარემოს, ჯერ კიდევ ნეგატიურია.

ევროკავშირის მიერ კლიმატის ცვლილების კონვენციის და კიოტოს პროტოკოლით აღებული ვალდებულებები იძულებულს ხდის ევროკავშირსა და წევრ ქვეყნებს დიდი ყურადღება დაუთმონ ენერგო-პოლიტიკას. კიოტოს პროტოკოლის ვალდებულებების შესრულებისათვის საჭიროა შემცირდეს CO<sub>2</sub>-ის ემისია, რაც გულისხმობს ენერგო-მოხმარების შემცირებასა და ენერჯის წარმოებას იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს მეტი ენერგია იმავე რაოდენობის

<sup>19</sup> Summary report on the analysis of the debate on the green paper "A European Strategy for Sustainable, Competitive and Secure Energy", Commission Staff Working Document, Commission of the European Communities, Brussels, 16.11.2006

<sup>20</sup> კონსულტაციების შედეგები განთავსებულია ვებ-გვერდზე

<sup>21</sup> "Energy for a Changing World", January 10, 2007

<sup>22</sup> ითვალისწინებს ელექტროენერჯის გენერაციას ორგანული საწვავიდან ნულოვანი ემისიით 2020 წლიდან

ემისიის ფარგლებში, ანუ ენერგოეფექტურობას ან განახლებადი ენერჯის მოხმარებაზე გადასვლას. მდგრადი ენერგოსისტემის ჩამოყალიბების პრაქტიკული გადაწყვეტილება სამივე მიდგომის კომბინაციაშია. ევროკავშირში არსებული კანონმდებლობა სწორედ ამ სამი მიდგომის დანერგვას ითვალისწინებს მიზნად.

### **3.2 ევროკავშირის დირექტივები ენერგეტიკულ სექტორში**

დღესდღეისობით ევროკავშირში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა სხვადასხვა ენერგო-დირექტივებზე, რომელთაც საბოლოო ჯამში ხელი უნდა შეუწყონ მდგრადი ენერგეტიკული სისტემის ჩამოყალიბებას. ჩვენ განვიხილავთ ორ ძირითად დირექტივას, რომელიც ჩვენი აზრით, წარმოადგენს ქვაკუთხედს ამ მიმართულებით.

#### **ევროკავშირის დირექტივა ემისიებით ვაჭრობის შესახებ**

ევროკავშირის დირექტივა ემისიებით ვაჭრობის შესახებ წარმოადგენს პირველ საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც პირდაპირ აკავშირებს CO<sub>2</sub>-ის ემისიასა და ენერჯის მოხმარებას, განიხილავს პირველი ევროპული კლიმატის ცვლილების პროგრამის<sup>23</sup> შედეგებსა და ამ პროგრამის მეორე ფაზის პოტენციურ ზემოქმედებას.<sup>24</sup> ევროკომისია დირექტივაში ცდილობს უპასუხოს ენერგოსექტორში არსებულ გამოწვევებს, და ამისათვის ითხოვს, ენერგოეფექტურობის დანერგვას ყველა შესაძლო დონეზე, განახლებადი ენერგეტიკის წილის ზრდას სექტორში, ორგანული საწვავის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას და მისი ეფექტური გამოყენებას.

დირექტივის ბოლო ნაწილი ეხება ენერჯის გამოყენებას ტრანსპორტის სფეროში; ტრანსპორტის გამოყენება და მასთან დაკავშირებული ემისიები იზრდება, ამდენად, თუ მიზანია, რომ არსებობდეს მდგრადი ენერგოსისტემა, აუცილებელია, რომ ასევე იყოს შესწავლილი ტრანსპორტის მიერ ენერჯის გამოყენება.

#### **ევროკავშირის განახლებადი ენერგეტიკის დირექტივა**

ევროკავშირის განახლებადი ენერგეტიკის პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს 1997 წლის თეთრი წიგნი “ენერჯია მომავლისათვის: ენერჯის განახლებადი წყაროები”. დოკუმენტის თანხმად, 2010 წლისათვის ევროკავშირის ენერგოგენერაციის 12% და მთლიანი მოხმარებული ენერჯის 22% უნდა იყოს განახლებადი ენერგო-წყაროებიდან. 2001 წელს დამტკიცდა დირექტივა განახლებადი ენერჯისგან ნაწარმოები ელექტროენერჯის პროპაგანდირებაზე,<sup>25</sup> რომლითაც განმტკიცდა თეთრი წიგნის მიზნები. დღეს ევროკავშირის განახლებადი ენერგო-წყაროები წარმოადგენს მთლიანი ენერგოგენერაციის 4%-ს.

2004 წელს ჩატარებულმა შეფასებამ აჩვენა, რომ არსებული საკანონმდებლო და ეკონომიკური ინსტრუმენტებით, აგრეთვე არსებული ფინანსური დახმარებით, 2010 წელს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯია ვერ შეადგენს მთლიანი მოხმარების 22%-ს.<sup>26</sup> კომისიის შეფასების თანახმად, 2010 წლისათვის ევროკავშირის ძველ ქვეყნებში მიიღწევა მხოლოდ 18-19% განახლებადი ენერჯია. ათი “ახალი” წევრი ქვეყნისათვის განახლებადი ენერჯის მიზნები დასახული იყო მიერთების დოკუმენტებში, თუმცა ასევე საეჭვოა, რომ ისინი შეძლებენ დასახული მიზნების შესრულებას არსებული ზომებით. ზოგიერთმა ქვეყანამ, მაგალითად, სლოვაკეთმა, უკვე მოითხოვა მიზნების დაწევა.

მთელ რიგ ქვეყნებში წარმატებით ხორციელდება განახლებადი ენერჯის დანერგვის სქემები, და შესაძლებელია რომ 2010 წლისათვის მათ მიაღწიონ ეროვნულ მიზნებს. განახლებადი

<sup>23</sup> Directive 2004/101/EC amending Directive 2003/87/EC establishing a scheme for greenhouse gas emission allowance trading within the Community, in respect of the Kyoto Protocol's project mechanisms

<sup>24</sup> მეორე ფაზის განხორციელება დაიწყო 2005 წელს

<sup>25</sup> Directive 2001/77/EC on the promotion of the electricity produced from renewable energy

<sup>26</sup> The share of renewable energy in the EU (COM 2004-366), May 2004

ენერჯის განვითარების ყველაზე წარმატებული სქემებია:

- საკმარისი და სტაბილური ფასები ელექტროენერჯიაზე. ყველაზე წარმატებული სქემები წარმოადგენს ვარიაციებს თემაზე “feed-in tariffs”, როდესაც მესაკუთრეები გარკვეული წლების განმავლობაში ღებულობენ ფიქსირებულ გადასახადს კილოვატსაათ ელექტროენერჯიაზე;
- მარტივი და ხელმისაწვდომი დაკავშირება ელექტროგადამცემ ქსელებთან;
- დაგეგმვის რეჟიმი, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართვას.

ყველაზე წარმატებული ქვეყანა ამ მხრივ გერმანიაა, რომელსაც მოჰყვება ესპანეთი (თუმცა ნაკლებობა ადგილობრივი ჩართულობისა), დანია (რომელსაც საკმაოდ ბუნდოვანი კანონმდებლობა აქვს ამჟამად, მაგრამ მიაღწევს მიზანს წინა კანონმდებლობის ხარჯზე), ავსტრია და ნიდერლანდები. სხვა ქვეყნებს აქვთ გარკვეული წარმატებული სქემები სხვადასხვა ტექნოლოგიებთან მიმართებაში, მაგალითად, ბიომასის CHP ტექნოლოგია შვედეთში და ნავთობსაყრელის გაზები დიდ ბრიტანეთში.

### **ევროკავშირის სამოქმედო დოკუმენტები ენერგოეფექტურობის შესახებ**

ევროკომისიის ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის<sup>27</sup> შესაბამისად, რომელიც მიზნად ისახავდა ყოველწლიურად დამატებით ერთი პროცენტის ინვესტირებას ენერგოეფექტურობის ასამაღლებლად, კომისიამ წამოიწყო რამდენიმე ახალი ინიციატივა.

შედეგად 2002 წელს შემუშავდა დირექტივა შენობების ენერგოეფექტურობის მახასიათებლებზე,<sup>28</sup> რომელიც აწესებს მინიმალურ სტანდარტებს შენობების ენერგო-მახასიათებლებისთვის, როგორც ახალი სახლების მშენებლობისას ასევე ძველი სახლების რეაბილიტაციისას. დირექტივა ეხება გათბობის, ვენტილაციის, განათებისათვის საჭირო ენერჯის მოხმარებას, ასევე სითბოს აღდგენასა და ადგილობრივი განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების გამოყენებად შესაძლებლობებს. დირექტივა მოითხოვს წევრი-ქვეყნებისგან გამოიყენონ დირექტივის მეთოდოლოგია, რათა დადგინდეს საერთო მინიმალური ინტეგრირებული ენერგო-მახასიათებლები.

დირექტივა თბომომარაგებისა და ელექტროობის კოგენერაციაზე,<sup>29</sup> მიზნად ისახავს გაიზარდოს ენერგოეფექტურობა და გააუმჯობესოს მიწოდების უსაფრთხოება მაღალ ეფექტური კოგენერაციული სისტემების განვითარების გზით. დირექტივა ცდილობს მოხსნას არსებული ბარიერები კოგენერაციისათვის, რისთვისაც წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ რომ:

- კოგენერაციულად მიღებული ელექტროობა გადაიცემა და გადანაწილდება ობიექტური, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული კრიტერიუმების საფუძველზე;
- უზრუნველყოფენ კოგენერაციის დადასტურებას სახელმწიფო ორგანოების მიერ;
- შეისწავლონ ქვეყნის პიტენციალი კოგენერაციის განხორციელებისათვის ეკონომიკურ და კლიმატურ ფაქტორებზე დაყრდნობით და დასახონ ეროვნული მიზნები.

ქვეყნები არ არიან ვალდებულნი შეასრულონ დირექტივა. თუმცა, ევროკომისია ხაზს უსვამს იმ სარგებელს, რომელსაც ქვეყნები მიიღებენ კოგენერაციული სქემების დანერგვისას.

ამ ინიციატივების შესაბამისად, 2005 წელს ევროკომისიამ შემუშავა მწვანე წიგნი ენერგოეფექტურობაზე.<sup>30</sup> დოკუმენტი არგუმენტირებულად წარმოაჩენს ევროპაში არსებულ

<sup>27</sup> Action Plan on energy Efficiency com(2000)247 final

<sup>28</sup> Directive 2002/91/EC on the Energy Performance of Buildings

<sup>29</sup> Directive 2004/8/EC on Cogeneration of Heat and Power

<sup>30</sup> Green Paper on Energy Efficiency (Doing more with less)

ენერგო-დაზოგვის პოტენციალს.

2006 წელს დამტკიცდა დირექტივა ენერჯის საბოლოო მოხმარების ეფექტურობასა და ენერგო-მომსახურებაზე, რომელიც მოითხოვს ყოველწლიურად ენერგოეფექტურობის ზრდას 1%-ით მომავალი ცხრა წლის განმავლობაში, ქმნის მოთხოვნებს ენერგო-მომსახურების ბაზრის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის და თავაზობს ენერგოეფექტურობის ზომებს საბოლოო მომხარებელთათვის.

“ეკო-დიზაინის” ჩარჩო დირექტივა<sup>31</sup> შემოთავაზებულ იქნა 2003 წელს კომისიის მიერ ელექტრო-ხელსაწყოებისათვის. დირექტივის მიზანია გააუმჯობესოს აღჭურვილობის გარემოსდაცვითი მახასიათებლები, როგორც მისი წარმოების, ასევე მისი გამოყენებისას. დირექტივა მნიშვნელოვანია, რადგანაც გამოიყენება ყველა ტიპის ელექტრო-ხელსაწყოების, მათ შორის საოფისე ტექნიკის რეგულირებისათვის, ხელს უწყობს ახალი, უსაფრთხო და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვას, ამკვიდრებს მარკირების სტანდარტებს, და აძლევს საშუალებას წევრ ქვეყნებს შეწყვიტონ არაეფექტური ელექტროხელსაწყოების გაყიდვა (როგორცაა მარკა, E, F და G<sup>32</sup>). დირექტივა დამტკიცებული იყო 2005 წელს და მისი შესრულება 2007 წლის აგვისტომდე იყო ნავარაუდები. ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები ახალი დირექტივის გარშემო, რომელიც უფრო გააძლიერებს და დეტალურად განიხილავს ჩარჩო დირექტივაში მოცემულ საკითხებს.

ამავდროულად, კომისია ყურადღებას ამახვილებს, რომ ენერგოეფექტურობის პოტენციალი ევროპაში არის სულ ცოტა 2,5% წლიურად. ენერგოეფექტურობა, ევროკომისიის აზრით, უნდა დანახული იყოს როგორც ე.წ. “win-win” სიტუაცია, რადგანაც ის იძლევა საშუალებას შემცირდეს დამოკიდებულება, უზრუნველყოფილ იქნეს მიწოდება და შემცირდეს სათბური გაზების ემისია.

### 3.3 ევროკავშირის მიდგომა მიწოდების უსაფრთხოებისადმი

მიწოდების უსაფრთხოება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ენერგო-დებატების ყველა ასპექტს ეხება. უფრო მეტი განახლებადი ენერჯის წყაროების არსებობა უფრო სტაბილურს ხდის ენერჯის მიწოდებას, ამცირებს დამოკიდებულებას იმპორტირებულ ორგანულ სანვავზე, უფრო მაღალი ენერგოეფექტურობა უზრუნველყოფს მეტი პროდუქციის გამოშვებას იგივე ენერგო-დანახარჯებით.

უკანასკნელ წლებში ევროკავშირში მომხდარმა საკმაოდ მნიშვნელოვანმა გათიშვებმა კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიაპყრო მიწოდების საკითხს, ხოლო ნავთობზე ფასების ზრდამ დებატებს უსაფრთხოების ასპექტზე გაამახვილებინა ყურადღება. 2000 წელს კომისიამ გამოაქვეყნა მწვანე წიგნი მიწოდების უსაფრთხოებაზე, რომლის თანახმად, ატომური ენერგეტიკა წარმოდგენილ იქნა კიოტოს ვალდებულებების შესრულების საშუალებად. 2003 წელს ევროკომისიამ მწვანე წიგნის საფუძველზე მოამზადა დირექტივა, თუმცა, ის არ იქნა დამტკიცებული ევროპარლამენტის მიერ, ვინაიდან წევრ-ქვეყნებს შორის არ იქნა მიღწეული კონსენსუსი ატომური ენერჯის საკითხზე.

ამავდროულად, კომისიამ ყურადღება გაამახვილა ტრანს-ევროპულ ენერგო-ქსელებზე. სქემის თანახმად, დიდი რაოდენობით ინვესტიციები უნდა ჩაიდოს ინფრასტრუქტურაში, რაც უზრუნველყოფს ენერჯის თავისუფალ გადაადგილებას ევროპაში. სქემა ასევე მოიცავს ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებს. არსებობს იმედი, რომ ლიბერალური ბაზრის პირობებში მსგავსი ინფრასტრუქტურა გაუადვილებს ბაზარს ოპერირებას.

<sup>31</sup> Directive 2005/32/EC for Eco-design requirements for energy-using products

<sup>32</sup> A – მარკირება არის მაჩვენებელი ყველაზე ენერგოეფექტური ხელსაწყო და ა.შ.

### 3.4 ევროკავშირის ენერგო-ბაზრის ლიბერალიზაცია

მდგრადობის თვალსაზრისით, ბაზრის ლიბერალიზაციამ შეიძლება მოიტანოს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი შედეგები. მაგალითად, სახელმწიფო მონოპოლიების მსხვრევა აიოლებს მწვანე ენერგეტიკის შესვლას ბაზარზე. თუმცა, ლიბერალურმა ბაზარმა ასევე შეიძლება შემოიტანოს უფრო დაბალი ფასები და მოახდინოს მოხმარების ზრდა, რაც გაზრდის გარემოზე ზემოქმედებასაც.

2003 წელს ევროკავშირმა მიიღო გაზისა და ელექტროენერგეტიკის დირექტივა<sup>33</sup> და დააფუძნა ევროპული მარეგულირებელი ჯგუფი გაზისა და ელექტროობისათვის. იდეა მდგომარეობდა სრულიად ღია ბაზრის ჩამოყალიბებაში, ისე რომ მომსახურების სტანდარტი კიდევ უფრო გაუმჯობესებულიყო. შესაბამისად, სამრეწველო კომპანიებს უფლება მიეცათ თავად ამოერჩიათ თავიანთი ენერგომომწოდებელი. ერთ-ერთი უდიდეს პრობლემად დარჩა ბაზრის ლიბერალიზაციის შეზღუდული განხორციელება ეროვნულ დონეზე, რაც განპირობებული იყო დიდი ენერგო-მწარმოებლების შიშით, რის შედეგადაც მთელ რიგ ქვეყნებში ლიბერალიზაცია შეჩერდა.

ამასთან, აღმოჩნდა, რომ დაწესებული საბაზრო პირობები არ აკმაყოფილებს განახლებადი ენერჯის ბაზარს და უპირატესობას ანიჭებს ტრადიციულ დიდი მწარმოებლებს. ერთ-ერთი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ თავიდან ენერგო-სისტემები, როგორც წარმოება ასევე დისტრიბუცია, ეკუთვნოდა სახელმწიფოს გარკვეული ფორმით და შესაბამისად, მასში ინვესტირდებოდა საბიუჯეტო თანხები. ლიბერალიზაციის ფონზე სახელმწიფო მონოპოლიები გაქრა, სამაგიეროდ, დაიწყო ჩანაცვლება ე.წ. ოლიგო-პოლიებით, ანუ იგივე კომპანიები აღმოჩნდნენ სექტორში დომინანტის როლში და კონკურენციის გაზრდის გზით ფასების დაწევის ეკონომიკური ეფექტი რეალურად არ ამუშავდა.

ამასთან ბაზარზე შემსვლელი ახალი განახლებადი ენერჯის მწარმოებელი, სუფთად კომერციული კომპანიები, იძულებულნი არიან გაყიდონ ენერჯია სრულ ფასად, რომელიც ასევე მოიცავს “გარეგან” ფასსაც, რასაც ძველი კომპანიები არ იხდიან. სწორედ ამიტომ, ევროკავშირის 19 ქვეყანაში ამუშავდა “Feed in Tarriff” სქემა, რომლის თანახმად, განახლებადი ენერჯის მწარმოებელი კომპანიები იღებენ ფიქსირებულ ენერგო-გადასახადს 20 წლის განმავლობაში (იხ. ზემოთ, განახლებადი ენერჯია).

<sup>33</sup> Electricity directive 2003/54/EC concerning common rules for the internal market in electricity and repealing Directive 96/92/EC

## დასკვნა

მდგრადი ენერგეტიკის განვითარებისათვის ევროკავშირის კანონმდებლობა სამ უმთავრეს კომპონენტს გამოყოფს: (1) გარემოს დაცვის ინტეგრაცია, როგორც ენერჯის გამომუშავებისას, ისე მოხმარებისას; (2) მინოდების უსაფრთხოება და (3) კონკურენტუნარიანი ენერჯო-სისტემების განვითარება — რათა ფართო სოციალური პოლიტიკური მიზნების განხორციელების მიზნით, უზრუნველყოფილ იქნეს დაბალი ხარჯები სამრეწველო კონკურენციის გასაღვივებლად.

ზემოთ აღნიშნული მიზნებიდან საქართველოში მხოლოდ მინოდების უსაფრთხოება ა პრიორიტეტული. ამასთან მინოდების უსაფრთხოებისათვის გადადგმული ნაბიჯები არ თანხვდება ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკას (ენერჯოეფექტურობა, განახლებადი ენერჯის განვითარება, ემისიების შემცირება და სხვ). თუ კონკურენციის ხელშეწყობა კანონმდებლობაში თუნდაც დეკლარირებულია, გარემოს დაცვის საკითხების ინტეგრაცია საერთოდ არ წარმოადგენს სექტორის მესვეურთა საფიქრალს. შესაბამისად, საქართველოს ენერჯო-სექტორის რეფორმირების პროცესი არ არის მიმართული მდგრადი ენერგეტიკული სისტემის ჩამოყალიბებისაკენ, რაც მძიმე ტვირთად დაანება ისევ მოსახლეობას და გარემოს უახლოეს მომავალში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ საქართველოში ენერჯის მოხმარების ზრდა და ენერგეტიკული ბალანსის სტრუქტურირება დაიგეგმოს ადგილობრივი, ძირითადად განახლებადი რესურსების ათვისების საფუძველზე, რომელიც დაეყრდნობა მდგრადი განვითარების პრინციპებს.

ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში მოიცავს საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებასა და მის შესაბამისობას ევროკავშირის ენერჯო-პოლიტიკის მიზნებთან და ეტაპობრივ გადასვლას ევროკავშირის შიდა ელექტრო და გაზის საბაზრო პრინციპებზე. ამ მიმართებით აუცილებელად მიგვაჩნია ევროკავშირის ენერგეტიკული და მდგრადი განვითარების სტრატეგიების და შესაბამისი დირექტივების მოთხოვნების გათვალისწინებით, საზოგადოების ფართო ფენების თანამონაწილეობით, შემუშავდეს საქართველოს მდგრადი ენერჯო-პოლიტიკის და სტრატეგიული სამოქმედო გეგმის დოკუმენტები, ეს დოკუმენტები უნდა იყოს შესასრულებლად სავალდებულო.

## ზოგიერთი გამოყენებული ტერმინის განმარტება

1. განახლებადი ენერგეტიკის სახეები - ბიომასის ენერჯია, ბიო-სანვაფი, ნარჩენებისგან მიღებული ენერჯია, ფოტოვოლტური, მზის თერმული ენერჯია, ტალღების ენერჯია, გეოთერმული ენერჯია და მცირე ჰიდროენერჯეტიკა (10 მეგავატზე მეტი სიმძლავრის ჰიდროენერჯია არ ნარმოადგენს განახლებად ენერჯიას).

2. Helio International-ის თანახმად, მდგრადი ენერჯეტიკული სისტემა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:<sup>34</sup>

გარემოსდაცვითი მდგრადობა:

- ინდიკატორი 1. ერთ სულ მოსახლეზე ენერჯო-სექტორიდან გამოყოფილი ნახშირორჟანგის ემისია
- ინდიკატორი 2. ენერჯო-სექტორთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილობრივი დამაბინძურებლები

სოციალური მდგრადობა:

- ინდიკატორი 3: საოჯახო მეურნეობის ხელმისაწვდომობა ენერჯიასთან და ენერჯიის ხარჯი ოჯახურ ბიუჯეტში
- ინდიკატორი 4: ინვესტიციები სუფთა ენერჯეტიკაში — განახლებადი ენერჯიის წყაროები და ენერჯოეფექტურობა

ეკონომიკური მდგრადობა:

- ინდიკატორი 5: ენერჯიით ვაჭრობის მომგებიანობა
- ინდიკატორი 6: სახელმწიფო ინვესტიციების წილი ენერჯო-სექტორში

ტექნოლოგიური მდგრადობა:

- ინდიკატორი 7: ენერჯოპროდუქტიულობა/ ენერჯონტენსივობა
- ინდიკატორი 8: განახლებადი ენერჯიის შესაძლებლობების გამოვლენა.

<sup>34</sup> [www. http://www.helio-international.org/energywatch/methodology.cfm](http://www.helio-international.org/energywatch/methodology.cfm)

საქართველო, თბილისი, 0162  
ყიფშიძის ქ. 5ა. მკ-4 საღარბ. მკ-7 სართ.  
ტელ: (+995 32) 221604; ფაქსი: (+995 32) 223874  
ელ. ფოსტა: [greenalt@wanex.net](mailto:greenalt@wanex.net)  
ვებ გვერდი: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

